საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №53

2024 წლის 20 მაისი

ქ. თბილისი

,,სამხედრო-სამედიცინო კომისიის შექმნის, მის მიერ სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის ორგანიზებისა და განხორციელების წესის და შესაბამისი დაავადებების/ტრავმების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 6 მარტის №37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,სამხედრო-სამედიცინო კომისიის შექმნის, მის მიერ სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის ორგანიზებისა და განხორციელების წესის და შესაბამისი დაავადებების/ტრავმების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 6 მარტის №37 ბრძანებაში (ვებგვერდი, 07/03/2024, სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017214) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველი მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) სამხედრო-სამედიცინო კომისიის შექმნის, მის მიერ სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის ორგანიზებისა და განხორციელების წესი (დანართი №1);“.

2. ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართის №4 ცხრილი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. ბრძანებით დამტკიცებული №4 დანართის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 7. დაავადებათა ცხრილის _____ მუხლ(ებ)ის _____ გრაფის საფუძველზე, **„დ“ დროებით არ არის შესაბამისი სამხედრო სამსახურისათვის**

ესაჭიროება სამკურნალო შვებულება/გათავისუფლება (_____) დღით

(არასაჭირო გადაიხაზოს) .“.

4. ბრძანებით დამტკიცებული:

ა) №6 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) №7 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**